ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ქ. ბათუმი 01/10/2014

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 621

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 36-ე და 61-ე მუხლების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა დაევალოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის საქმისწარმოების განყოფილების მთავარ სპეციალისტს – შორენა თედორაძეს.

2. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა საჯარო მოსამსახურემ უფლებამოსილების განხორციელებისას იხელმძღვანელოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით.

3. ბრძანება მისი საჯარო გაცნობისათვის განთავსდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობის საინფორმაციო დაფაზე (მის: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №25).

4. ბრძანების საინფორმაციო დაფაზე განთავსება უზრუნველყოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის საქმისწარმოების განყოფილების მთავარმა სპეციალისტმა - შორენა თედორაძემ.

5. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქალაქ ბათუმის მერიაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ“ ქ. ბათუმის მერის 2011 წლის 11 მაისის №139 ბრძანება.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბაგრატ მანველიძე

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი, მერის მ/შ